საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 11 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი [illegible]: 1 თვით 18 მანეთი [illegible] ცალკე ნომერი 75 კაპ. [illegible] 1 მან. [illegible] 25 მან. [illegible] 12 ს. [illegible]

[illegible] № 199 [illegible] „ერთობის" [illegible] 17—19 საათამდე [illegible] № 94.

ტელეფონი 16—62.

№ 81 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 81

10 აპრილს, 12 საათზე, **ვაშნარის ძმათა სასაფლაოზე, ოზურგეთს ოსმალეთთან ომის დროს დახოცილ მეომართ** ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ საზოგადოებას **ოზურგეთის ერობის გამგეობა, ძეგლის აგების კომიტეტი და ქალაქის თვითმართველობა.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის [illegible] გზების [illegible] [illegible] 13 აპრილს [illegible] 19 [illegible]

კოტე (კონსტანტინე) ელიზბარის ძე შენგელიას

[illegible] 12 აპრილს, სახ. 7 ს. და 30 წუთ. [illegible] № 1. [illegible] 9 საათზე [illegible] (3—2)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის [illegible] გზების [illegible] რომ კვირას, 13 აპრილს [illegible] 19 [illegible]

კოტე ელიზბარის ძე შენგელიას

[illegible] 12 აპრილს № 1 [illegible] (2—1)

[illegible]

ხარლამპი ბექანის ძის ჭყონიას

[illegible]

[illegible] 14 აპრილს 1919 წ. [illegible]

სოფიო ივანეს ასული და პავლე ლოლის ძე პოპოვები

[illegible] იქნება წირვა და პანაშვიდი ქალ. სიღნაღში, [illegible] 14 აპრილს 1919 წ.

[illegible] 13 აპრილს [illegible] წირვა და პანაშვიდი [illegible]

ნინა ხუხუნაიშვილის (თოხაძის ასულის)

[illegible]

სახალხო სახლი

დღეს, პარასკევს, 11 აპრილს, საღამოს 6 საათზე [illegible] პარლამენტის სოც.-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ამხ. **ჰაიკ აზატიანი** წაიკითხავს მოხსენებას:

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება სომხეთში

მოხსენების შემდეგ კამათი.

შესვლა 2 მანეთი.

ეს მოხსენება განმეორდება [illegible] სომხურ ენაზე კვირას, 13 აპრილს. 1—1

ქართული კლუბი

კვირას 13 აპრილს, დილის 11 საათ. [illegible] წაიკითხავს მოხსენებას

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პრეზიდენტის საკითხი

კამათში მიიღებენ [illegible] ბაზათაშვილი, გ. გვაზავა, გ. ნათაძე და სხვანი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. (3—1)

ბაქოს მუშების გადაწყვეტილება

6 აპრილს ბაქოში შესდგა პროფესიონალურ კავშირთა კრება, რომელსაც [illegible] წარმომადგენლები ჩრდილო კავკასიის და კასპიის გაღმა მხარის.

[illegible] ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირებს.

[illegible]

პრესა

„[illegible]" (№ 69) [illegible] 25-[illegible]

„[illegible] 25 [illegible]

[illegible]

არა „კომუნიზმი", არამედ სოციალიზმი

(კარლ კაუცკის თეზისები)

გაზეთ „[illegible]"-ის 19 [illegible] კარლ კაუცკის „[illegible] სოციალისტური პროგრამისა". [illegible]

[illegible]

კიდევ ახალციხის მაზრაში

[illegible] „სახალხო" [illegible]

[illegible]

დღეს

ახალციხის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. ოსმალთა ბრბოები არტაანისკენ მიილტვიან. ჩვენს ჯარს ხალხი მორჩილებას უცხადებს.

ინგლისის პრესაში გამოქვეყნებულია ლენინის საზავო პირობები. ინგლისი და ამერიკა თანხმობას აცხადებენ ლენინის მიერ წარმოდგენილ პირობებზე, საფრანგეთი წინააღმდეგია.

დონის ოლქში ვოლოკონოვკის მიმართულებით საბჭოთა ჯარები წინ მოიწევენ, იუზოვის რაიონში უკან იხევენ. უკან დახევას განაგრძობენ საბჭოთა ჯარები აგრეთვე ორენბურგის რაიონში და ბუგურუსლანის მიმართულებით.

ადმირალ კოლჩაკის არმია ვიატკისკენ მიიწევს.

გერმანიის საერო ყრილობის გადაწყვეტილებით რეიხსტაგის წევრი არჩეული იქნება 3 წლის ვადით. რეიხსტაგი შეიკრიბება ყოველ წლიურად არა უგვიანეს ნოემბრისა.

ვეიმარში სურსათის ნაკლებობის ნიადაგზე დემონსტრაცია მოხდა. ბავარია საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადებულია. მიუნხენში სიწყნარეა.

ინგლისური პრესის ცნობით ზავი ფაქტიურად უკვე შეკრულია, ვინაიდან პრინციპიალური უთანხმოება მოკავშირეთა შორის აღარ არსებობს, წვრილმანებში კი შეთანხმება მოხდა.

ბის“ ამბობს ბრძნული თქმულება, მარა რაკი არ ისვენებენ, ჩვენ უნდა ვსთქვათ სათქმელი, ყველას უნდა ავხადოთ ნიღაბი და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ის მოშხამული ატმოსფერა, რომელსაც ასე მონდომებით ფარავენ სოციალისტურ ქურქს ქვეშ ფედერალისტების ახალციხელი მოღვაწენი.

თავიდანვე ახალციხის მაზრაში ორი უკიდურესი მიმდინარეობა იბრძოდა. ერთი იყო ოსმალეთის ორიენტაცია, რომელსაც ღებულობდა წმინდა შოვინისტური სახით და მეორე იყო ქართული ნაციონალიზმი, რომლის ამოსავალ ეგოისტებით გამოდიოდნენ თუნდ ისეთი პირები, როგორიც არის ფედერალისტთა ახალციხელი კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი ბენიამინ კანდელაკი. რუსეთის ძველ მთავრობის სისტემაში ქონდა შემოღებული მუსლიმანთა მონათვლა, რისთვისაც ასეთ მოღვაწეთ ჯილდოს აძლევდენ. ბენიამინ კანდელაკიც ერთი ამათგანი იყო. ვერ ნახავთ ვერც ერთ მუსლიმან გლეხს, რომელიც გულგრილათ შეხედავდეს ასეთ პირებს და აი როცა რევოლუცია მოხდა, თავის თავად ორივე ეს დაჯგუფების შოვინისტური ნაწილი [illegible] შეიქნა, საქმეს ხელი მოკიდა დემოკრატიამ.

მესამე ნაციონალისტური ძალა, რომელიც დაბუდებულია ახალციხეში დაშნაკელების სახით, მუდამ მიზნად ისახავდა შუღლის და მტრობის გაღვივებას, ქართველ მუსლიმანთა და ქრისტიანთა შორის გარდაუვალ ზღუდეების აღმართვას.

როცა დრონი იცვალნენ, ყველა ეს ნაციონალისტური ჯგუფები თავისუფლების მოტრფიალეებით გამოდიოდნენ, მარა ნამდვილად კი ძველ საქმეს აგრძელებდნენ.

დემოკრატიას ასეთი მოქმედება დამღუპველათ მიაჩნდა. აქედან იყო წარმოშობილი სწორეთ ის შეთანხმება, რომელმაც თავი იჩინა ახალციხის ს. დ. კომიტეტს და ადგილობრივათ შემდგარ ქართულ ნაციონალურ საბჭოს შორის.

დემოკრატიის მიზანი იყო თავიდანვე მოესპო ერთი შემთხვევითი ხაზი მუსლიმან და ქრისტიან გლეხკაცობას შორის, გაეღვიძებინა კლასობრივი ბრძოლა გლეხს და მიწათმფლობელთა შორის და ამით დაეჯგუფა ფეოდალიზმის ძველი ფესვები, რომელიც დღეს ახალციხის მაზრაში კიდევ ხელუხლებელია. ჩვენ გვწამდა და დღესაც გვწამს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება საქართველოს პოლიტიკის გამარჯვება ახალციხის მაზრაში. სანამ არ დაეცემა ბეგების და ქართველ თავადების ბატონობა ახალციხის მაზრაში, მანამ ჩვენ მუდამ შიშს ქვეშ ვიქნებით, მანამ წელში ვერ გაიმართება ის გლეხკაცობა, რომელიც დემოკრატიისთვის ერთად ერთი დასაყრდენი ძალაა.

აი ამ შეხედულებიდან გამოდიოდით ჩვენ, როცა ვებრძოდით სამივე შოვინისტურ ძალას და თავს ვუყრიდით ერთ დროშის ქვეშ ღარიბ გლეხკაცობას. რაც არ უნდა გვარწმუნონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, რომ მუსლიმანი გლეხკაცობა ქრისტიან გლეხკაცობის მტრებია, ჩვენ მაინც დავამტკიცებთ ფაქტებით ხელში, რომ ორივე ეს ძალა ერთი ოჯახის შვილია და ისინი ღრმად გრძნობენ და ამბობენ, რომ ქრისტიან და მუსლიმან გლეხკაცობის შეუთანხმებლად ორივე მხარე დაღუპვის კარამდე მივა.

ჩამოაშორეთ ამ ხალხს ოსმალეთის აგენტები, ქართველი შოვინისტები, მისიონერები და დაშნაკელები და თქვენ მიიღებთ თანხმობას და სოლიდარობას, მშვიდობიანობის აღდგენას და დემოკრატიის ბატონობას. მაშინ საქართველოს დემოკრატიულ პოლიტიკას არსაიდან საფრთხე არ ექნება, ის შეუდგება აქ [illegible] მუშაობას.

ასეთია მოკლედ წარსულის სურათი და აქედან აშკარაა ახლად მომხდარ ამბების დედააზრიც. გუშინდელი „სახალხოს“ მეთაურის პირველი ნაწილი ამტკიცებს, რომ ახალციხის ამბები ოსმალეთის საქმეა, ხოლო მეორე ნაწილში თავს იმართლებს, რომ „დღიურები“ ამას ამბობენ, მხოლოდ ადმინისტრაციის ზოგიერთ შეცდომებზედაც მიუთითებს მთავრობას.

ვალაპარაკოთ თვით „დღიურები“ და დავანახვოთ მკითხველს რამდენათ მართალია „სახალხო“.

თებერვლის 22-ის ნომერში „სახალხოში“ მოთავსებულია „ნადგურიანი მგზავრის“ წერილი სათაურით „ხმა მესხეთიდან—ვისი ბრალია?“ ამ წერილის გაგრძელება შემდეგ ნომერშიაც არის. ავიღოთ ეს ორი ნომერი, თავი მოიყარეთ სრულად სხვა დღიურებს, რომელიც იმავე ავტორის არის და თქვენ დაინახავთ, რომ „სახალხო“ ამტკიცებს „ახალციხის მაზრაში გლეხკაცობის აჯანყება მოხდა“. ჯარი და მისი ხელმძღვანელები შესანიშნავად იქცეოდენ, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ და მისმა წარმომადგენლებმა მოაწყო „აჯანყება და დაგლეჯა“. ამასვე ამბობენ ადერბეიჯანელები, ამასვე იმეორებენ ბათუმში ლენინის აგენტები.

„სახალხო“ სწერს: „ლ. რუხაძე ცდილობს დაუმტკიცოს მთავრობას, რომ აჯანყებაში ხელი ურევია ოსმალეთის მთავრობას, რომელსაც უნდა დაიმორჩილოს ახალციხე-ახალქალაქი. ეს სიმართლე არის, რადგანაც ინგლისი რომ არ გამოჩენილიყო, ოსმალეთი დღესაც ახალციხე-ახალქალაქში იქნებოდა და თუ ინგლისმა აიძულა დაეცალა ოსმალეთს ახალციხე-ახალქალაქი, ამის შემდეგ ოსმალეთი ვეღარ გაბედავს, რომ მან ერთი ნაბიჯითაც წინ წამოიწიოს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ოსმალეთმა მოახდინა თავის ჯარების დემობილიზაცია, სიღარიბე და უგზოობის გამო ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი დარჩა ადგილობრივათ. რა თქმა უნდა ასეთი შემთხვევები იქნებოდა [illegible] და საკვირველი არ არის, თუ ასეთი ჯარისკაცები და ოფიცრები მიემხრობოდნენ აჯანყებულ მაჰმადიანებს და ბეგებს, რომლების მიზანიც ერთად ერთია: [illegible] თავისთვის ცალკე კანტონი“.

აი ამონაწერი, რომელიც უარყოფს „სახალხოს“ გუშინდელ მტკიცებას. „სახალხოს“ მაშინ ამ წერილისთვის შენიშვნა არ გაუკეთებია, მაშასადამე ისიც იზიარებდა, რომ სინამდვილე არ არის, თითქოს ოსმალეთს ხელი არ ურევია ახალციხის ამბებში, რომ მოხდა მაჰმადიანების და ბეგების აჯანყება, რომელსაც მიემხრნენ ოსმალთა დარჩენილი ოფიცრები და ჯარისკაცები.

ჩვენ კი წინააღმდეგს ვამტკიცებდით და ეს დამტკიცდა კიდეც. ოსმალეთს ხელი არ გაუშვია სისხლში, ის [illegible] კი ვერ გამოიყვანა ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს შედეგი იყო სწორეთ იმ მუშაობისა, რომელიც ასე ბოროტად დაწუნებული აქვს „სახალხოს“ და რომელსაც აწარმოებდა ახალციხეში სოც. დემოკრატია. თქვენი ახალციხელი თანამოაზრეთა გზა, რომ გვეყურებინა, ეს იქნებოდა დაღუპვა საერთო საქმის, ეს იქნებოდა ახალი სისხლის ღვრის დასაწყისი.

მე ვკითხავ „სახალხოელებს“ იცნობთ კარგათ თქვენ ახალციხელ თქვენი ორგანიზაციის წევრებს, იცით კი როგორ ფიქრობენ ისინი მუსლიმანი საქართველოზე? თუ არ იცით, იკითხეთ მაინც თუ რა ენით ლაპარაკობდნენ ახალციხის თქვენი ორგანიზაციის წევრები 7 მარტის კრებაზე, როცა სამხედრო მინისტრი მიიწვიეს დასასწრებლათ. მე არ მოვიყვან აქ თქვენი ამხანაგების მღვდელ კანდელაკის და ზ. [illegible] სიტყვებს, ეს ისეთივე მავნებელი იქნება ჩვენი საერთო საქმისთვის, როგორც მავნებელია თქვენს გაზეთში მოთავსებული „დღიურების“ აზრი, რომელიც არაფრით არ განირჩევა ადერბეიჯანელთა აზრიდან.

„სახალხო“ ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციამ არ დააპატიმრა ყველა ისინი, ვინც გალალატობდა და ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. მე კი საჭიროთ ვთვლი განვაცხადო, რომ ყველა მოღალატე ბეგები და 25-მდე ოსმალეთის ოფიცრები და აგენტები, პროვოკატორი ზოგიერთი მოქალაქეები ერთად ახალციხის ციხეში ისხდნენ, მარა თუ არ მიხვდებიან თავის ახალციხიდან სხვა ციხეში გადაიყვანენ, ეს ჰკითხეთ იმათ, ვისაც ესოდენ ქებას ასხამენ დღიურების ავტორები. იცის კი „სახალხომ“, რომ ზოგი ახალციხელი მისი თანამოაზრე ახალციხეში მოსვენებას არ იძლევიან გამოფიტ[illegible] ეს თუ ის პარტია, რომელიც აშკარა ჩვენი მოწინააღმდეგე იყვნენ? და თუ იცით, რათ სწერთ ერთს და აკეთებთ მეორეს? რათ ამბობთ აქ ასეთ ტკბილ სიტყვებს და აქვეყნებთ დეკლარაციებს მუსლიმანი საქართველოზე, როცა ადგილობრივათ იქ მოქმედი თქვენი ამხანაგები სულ სხვა გზას მიჰყვებიან და ძველი მისიონერების საქმეს ემსახურებიან?

ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია ყველა ამ „დღიურების“ მუხლობრივათ გარჩევა, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენი ამხანაგებისადმი ცილისწამებით არის სავსე და მიზნათ ისახავს ახალციხის მაზრაში ს. დ. გავლენის დაცემას, მარა განა შესძლებს ამას ის გარეცხილი პარტია, რომელმაც შარშან რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ახალციხის მაზრაში 12 პროპაგანდისტი გამოგზავნა და შედეგათ ის მიიღო, რომ ს. ფ. მიეცა მხოლოდ 2 ხმა!

ახალციხელი.

ადერბეიჯანი და ზაქათალის ოლქი

ადერბეიჯანი ზაქათალის ოლქს დიდ ყურადღებას აქცევს. ამას წინად ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოტითაც კი მიმართა ჩვენს მთავრობას—საქართველოს აგენტები დადიან ზაქათალაში და აგიტაციას ეწევიან ადერბეიჯანის წინააღმდეგო.

გუშინდელ „გურჯიაში“ მოთავსებულია პოლკოვნიკ ნადირაშვილის წერილი, სადაც სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ: „საქმე შემდეგში იყო: ქართველი სოც. ფ. კახის (ზაქათალის ოლქში) მცხოვრებ პოლკოვნიკ ტერტეროვს მიიწვია თავის სახლში—ეს, პროპაგანდისტი ფულებით და აქ [illegible].

ჩვენ თავის დასაცავად თან წავიყვანეთ სამი შეიარაღებული ჯარისკაცი. ზაქათალიდან გენერალ-გუბერნატორმა გამოგზავნა კიდევ ორი მხედარი.

ჩვენთან ერთად წამოვიდა 1918 დარბევის დროს გამოქცეული გ. ზ. ხუციშვილი თავისი ქონების დასათვალიერებლად.

გზაში პოლკ. ტერტეროვი ჩემზე ადრე შევიდა და ორი დღის შემდეგ ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა ს. კახში, რომელიც იქვე დაასაფლავეთ.

არავითარ პროპაგანდის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. ეს სრულიად არ შეადგენდა ჩვენი უწყინარი მოგზაურობის მიზანს. არც საჭირო იყო პროპაგანდა. ჩვენ საკმაოდ დარწმუნებული ვიყავით და ვართ იმაში, რომ ოლქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ღრმა სიმპატიით ეპყრობა საქართველოს.

როგორც სჩანს, ამას ბევრი თანამოაზრეც არ ჰყავს და ეს იქიდან სჩანს, რომ ჩვენი უწყინარი გამგზავრება ამ ოლქში ასეთ აურზაურს იწვევს გაზეთებში“.

ჟურნალ გაზეთებიდან

„ბოჟე ცარია ხრანი“!..

ბაქოს გაზეთ „ზნამია“-ში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „ჩვენ გვატყობინებენ შუშიდან, რომ იქ ინგლისელ ოფიცრების თანდასწრებით გაუმართავთ ბანკეტი, სადაც ყოფილან ადერბეიჯანის მრავალი ოფიცრები და ყარაბაღის გენერალ-გუბერნატორი სულთანოვი. ბანკეტზე სხვათა შორის ინგლისელმა მაიორმა მოიწვია რუსეთის ყოფილ მეფე და უბრძანა მუზიკას დაეკრათ „ეროვნული ფრანგული მეფისა“, („ბოჟე ცარია ხრანი“). ადერბეიჯანის სამსახურში მყოფი ყველა ოფიცრები (იყვნენ მუსულმანები და რუსებიც) [illegible] დაუშვეს სადღეგრძელოს, ზეზე ადგნენ და ისე მოისმინეს ჰიმნი. შემდეგ ამავე წესით დალიეს სადღეგრძელო რუსეთის მომავალ მეფისათვის. რისაც აგრეთვე მხარი დაუჭირეს ადერბეიჯანის ყველა ოფიცრებმა, რომელნიც ხალისით [illegible] და ტაშს [illegible]. სულთანოვმა, რომელიც მთელი ამ ცერემონიის დროს ზეზე არ ამდგარა და უარყოფით მდგომარეობაში ნაგავდა, შენიშვნა მისცა მაიორს, რომ ამისთანა სადღეგრძელოების სმა დაუშვებელია რესპუბლიკანურ ქვეყანაში. მაიორმა უპასუხა, რომ რუსის ოფიცრებს უფლება აქვთ თავისუფლად გამოხატონ თავისი სურვილები, რაზედაც სულთანოვმა განაცხადა, რომ აქ არ არიან რუსის ოფიცრები, არამედ არიან ოფიცრები ადერბეიჯანის რესპუბლიკანური ჯარისა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოფიცრების და მუსავატელ შიხლინსკის მხრივ არავითარ წინააღმდეგობას ან პროტესტს არ ჰქონია ადგილი“.

ამის გამო ადერბეიჯანის მთავრობის ორგანო „აზერბეიჯანი“ სხვათა შორის შემდეგს სწერს: „თუ ადერბეიჯანის ოფიცერი ისეთ რამეს სჩადის, რაც ეწინააღმდეგება ხალხის მისწრაფებებს და არსებულ პოლიტიკურ წყობილებას, იგი უნდა სათანადოთ იქნეს დასჯილი. მაგრამ არიან ჩვენს ოფიცრობაში ისეთი ელემენტები, რომლებისათვისაც უცხოა ჩვენი მიზნები და მისწრაფებანი. უცხოა ის იდეალები, რომლის შენარჩუნებისათვის და განსახორციელებლად იბრძვის მთელი ადერბეიჯანის ხალხი, რომელიც უთავგანწირეთ გაუყვა თავის ახალგაზრდა რესპუბლიკანურ ჯარს, ეს ელემენტები არ არიან თათრები, არ არიან დაკავშირებული ჩვენ ჯართან იდეიურად. შესაძლებელია ჩვენ ადერბეიჯანის ჯარს შეტაკება მოუხდეს ბრძოლის ველზე დენიკინის შავ ძალებთან და ამ ბრძოლაში ის ხალხი, რომელიც ნატრულობს თვითმპყრობელობას და რუსის მეფეს, ვერ იქნება ქომაგი დამცველი ადერბეიჯანის ხალხის ინტერესებისა.

შუშის ბანკეტის ინციდენტი ეს ერთი წვრილმანთაგანია, მაგრამ ფრიად დამახასიათებელი ჩვენ უმაღლეს სამხედრო სარდლობისათვის; ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჯარი ძლიერია არა ოფიცრების რიცხვით, არამედ მისი თვისებით და ის მომენტი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, გვიკარნახებს, რომ თანაშემწეებით და მახლობელ თანამშრომლებით გვყავდეს ისეთი პირები, რომლებიც თანაუგრძნობენ არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და მზათ არიან დაიცვან იგი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ხალხი, ვინც სვამს სადღეგრძელოს მომავალ რუს ხელმწიფისას და მღერის „ბოჟე ცარია ხრანი“-ს, უნდა განდევნილ იქნენ რესპუბლიკის ჯარიდან. ისინი არ შეადგენენ ისეთ ელემენტებს, რომელზედაც შეუძლიათ დაეყრდნონ სახელმწიფოს, არამედ იქნებიან ჩვენთვის დიდი საფრთხე იმ მომენტში, როდესაც ადერბეიჯანის შვილებს თავიანთი მკერდით მოუხდებათ რესპუბლიკის დაცვა“.

უკანასკნელი ცნობები

ახალციხის ფრონტი. ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია. დამატებითი ცნობებით ოსმალთა ყველა ცხენოსან და ქვეითი ნაწილების სარდალი მუსაკიევი სოფ. დიღურში მცხოვრებლებმა მოკლეს.

არც ფოცხოველები და არც შავშელები მათ გამოსვლებში მონაწილეობას არ იღებდნენ. ახმედ-ბეგ ბაბაშიძე მოკლეს იმისთვის, რომ ის ფოცხოველებს ამხედრებდა არტაანის ბრბოების წინააღმდეგ. ჩვენ ჯარს ხალხი მორჩილებას უცხადებს. ოსმალთა ბრბოები არტაანისკენ მიილტვიან.

ბათუმი. 9 აპრილი. 8 აპრილს გაზეთ „ბათუმსკია ვესტის“ დაკეტვის გამო პროტესტის ნიშნად გამოცხადდა ერთი დღის გაფიცვა, რომელიც მწყობრად მიმდინარეობს. გაფიცვა ფართო ხასიათისაა. მონაწილეობას იღებს ყველა სავაჭროები, სამრეწველოები და მუშები. ამათ შეუერთდნენ ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებანი და მოსწავლეები. ქალაქი დღესასწაულის ელფერს ატარებს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 აპრილი

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის ეროვნულმა კრებამ ვეიმარში დაადგინა, რომ რეიხსტაგის წევრები 3 წლის ვადით იქნენ არჩეული; წინათ 5 წლის ვადით ირჩევდნენ. გადასწყვიტეს აგრეთვე შეიკრიბოს რეიხსტაგი ყოველ წლიურად არა უგვიანეს ნოემბრის დასაწყისისა.

ქენიგსბერგში ფასების აწევის შესაწყვეტად ცენტრალური სამინისტროს მეთაურმა ქენიგსბერგში უნივერსალური ფასები დააწესა.

რურის რაიონის გაფიცულმა მაღაროს მუშებმა განაცხადეს, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ გაფიცვა ბოლომდე მიიყვანონ, რათაც უნდა დაუჯდეთ ეს. მაღაროების ადმინისტრაციას ისინი უყენებენ ულტიმატუმს, რომელშიაც პასუხის მისაცემად ნიშნავენ უკანასკნელ ვადათ პარასკევს. თუ მათი მოთხოვნილებანი არ დაკმაყოფილდა, იმუქრებიან, რომ შეაჩერებენ იმ მცირედ მუშაობასაც, რომელიც კიდევ სწარმოებს, რის გამო მაღაროს მანქანები სრულიად გაჩერდებიან.

გერმანიის მშვიდობიან მცხოვრებთა შორის ბლოკადის გამო გარდაცვალებულთა რიცხვი გაიზარდა. ომის პირველ წელს გარდაიცვალა 88 200 კაცი, მეორე—121 740, მესამე წელს—259,635, მეოთხე—293 700 კაცი.

დროებითი ზავის შემდეგ შიმშილმა კვლავ იმსხვერპლა 100,000 კაცზე მეტი. სურსათის უქონლობის, ბლოკადის და მისი შედეგების გამო, ხალხს დაეკარგა ენერგია, შესუსტდა მუშაობა და ყოველ გვარმა აგიტაციამ ნიადაგი მოიპოვა.

ვეიმარში ბრბომ 3000 კაცისაგან გამართა სასურსათო სისტემის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და შემდეგ გაემართა ბურგომისტრის ბინისკენ, რომელიც დაპირდა გაუმჯობესებას, მაგრამ განაცხადა, რომ არ შეუძლია ჩაერიოს მთავრობის საქმეებში.

ბავარიის კაბინეტის თავმჯდომარე ჰოფმანმა და ორი სხვა მინისტრი ერთად [illegible] დასტოვეს მიუნხენი. ფიქრობენ, რომ ისინი წავიდნენ ბამბერგში, იმ მიზნით, რომ იქიდან განაგრძონ მართვა-გამგეობა და მიიწვიონ ბამბერგში სეიმი. მთავრობის დასაცავად ბამბერგში გაიწვიეს მოხალისეთა კორპუსი.

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის სათავეში უდგას შემდეგი პირები: ნიკიში, ლანდაუერი, მიუზამი, განდორფერი, დოქტორი ფრანც ლიპპი და ალბერტ შმიდი. მიუნხენში სიწყნარეა.

შტუტგარტში საერთო გაფიცვა მალე დასრულდება და მთავრობა შექმნილ მდგომარეობას კონტროლს უწევს. გაფიცვების მეთაურნი დაპატიმრეს. გაფიცვას განაგრძობენ ქალაქის განათებაზე მომუშავენი. ქალაქის საბჭო ითხოვს ყველა იმას, ვინც ორშაბათამდე არ განაახლებს მუშაობას.

ინგლისური პრესის ცნობები.

ლენინმა მოკავშირეებს წარუდგინა საზავო პირობები სტეფენსის საშუალებით, რომელიც ამას წინათ მოსკოვში იყო. ამ პირობების მთავარი საფუძვლები გაზეთებში იქნება გამოქვეყნებული. ლენინი მოითხოვს დროებითი ზავის შეკვრას, ვიდრე მოკავშირეთა ჯარები რუსეთში რჩებიან. ეს ბოლშევიკებს საშუალებას მისცემს სურსათი შეიძინონ საზღვარ გარეთ... (გაფუჭებულია) მოიყვანს დაუყოვნებელ საბუთებს, რომ მას ეკუთვნის ოქროთ შესყიდულ სურსათის ღირებულების გადასახდელად და პეტროგრადულ დავალებებს, რომ ის მოწყობილობას არ საჭიროებს და მოითხოვს მხოლოდ, რომ სცნონ ბოლშევიკური მთავრობა. დროებითი ზავის და სურსათის ყიდვის სამაგიეროთ ის თანახმაა სცნოს უცხო სახელმწიფოთა ყველა სესხები და შეიარაღებისათვის პროცენტების გადახდა. შემდეგ უკან გაიწვიოს უცხოეთის სახელმწიფოებიდან ყველა პროპაგანდისტები და შესწყვიტოს რუსეთის გარეშე უცხო სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევა. ლენინი აცხადებს, რომ ის მზათაა რაც შეიძლება მალე ჩამოაგდოს ზავი მოკავშირეებთან და განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მისი მთავრობა წმინდა სოციალისტურია, და არავითარი ტენდენცია არა აქვს პროლეტარიატის ავტოკრატიისა, თუმცა უკანასკნელი იყო ბრძოლის საფუძველი. მაგრამ ახლა ყველა საზოგადოებრივ კლასებს თანაბარი უფლება აქვთ.

ამერიკის რწმუნებულნი ყოველდღე ხმარობენ, რომ ეს პირობები მიიღონ და რუსეთში სურსათი გაგზავნონ, მაგრამ მათმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან საფრანგეთი არ თანხმდება. ეს არის მთავარი მიზეზი, რომ პრეზიდენტმა ვილსონმა წარადგინა ულტიმატუმი, რომ თუ ამ უახლოეს დღეებში ზავი არ შეიკრა, ის ამერიკაში წავა.

ინგლისი განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ ფაქტიურად ზავი უკვე შეკრულია. დღეს, გაზეთები ოფიციალურად იუწყებიან, რომ რიგი საკითხების ზოგიერთ წვრილმანების შესახებ შეთანხმება მოხდა და პრინციპიალური უთანხმოება აღარ არსებობს. მთელი კაცობრიობის საღი აზროვნება ესალმება ზავს, თუმცა ერთის მხრით იგი იწვევს უკმაყოფილებას რეაქციონერებს და მეორეს მხრით ბოლშევიკებს. ფიქრობენ, რომ ბევრი რამ უნდა გადასწყვიტოს ხალხთა ლიგამ. ამბობენ, რომ ხელშეკრულება ისეთი არ იქნება, როგორც უწინდელი ხელშეკრულებები და უფრო დაემსგავსება ამერიკის კონსტიტუციას, რომლის შეცვლაც შეიძლება, თუ ეს მოინდომა ხელშეკრულების მომწერთა ორივე მხარემ.

მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის და საფრანგეთის წყაროები იმ აზრის არიან, რომ ზავის პირობები გამორკვეულია და თითქმის დასრულებული, ნახევრათ ოფიციალური ცნობაა, რომ ვილსონს თავის დანებება არ მიუცია. ვილსონი იმ აზრისაა, რომ ზავის შემკვრელნი უნდა დაუბრუნდნენ 14 პუნქტს და დროებითი ზავის პირობებს, რომლებსაც წინათ სრულიად ეთანხმებოდენ. კიდევ უფრო გარკვევით, ვიდრე ორშაბათს, მან სთქვა, რომ მზადაა მიატოვოს კონფერენცია „თუ ეს აუცილებელი იქნა“. გაზეთები იუწყებიან, რომ ეს ცნობა ალბათ ერთგვარი ფანდია. ვილსონის მოადგილემ აღნიშნა, რომ ადგილობრივ ინტერესებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე საერთო ხასიათის ინტერესებს და რომ საზავო მოლაპარაკების მონაწილენი ისე არიან გატაცებულნი საკუთარი ინტერესებით, რომ მხედველობაში არ იღებენ იმ 14 პუნქტს, რომლებსაც წინათ ეთანხმებოდენ, როგორც ზავის ჩამოგდების საფუძველს. ამ პუნქტების თანახმად არ უნდა ესწრაფოდნენ ანექსიებს.

საბერძნეთის საზღვრების გამომრკვევი კომისია მხარს უჭერს ბულგარეთის თხოვნას, რომ მას გასავალი ექნეს ეგეოს ზღვისკენ კავალიას, სოლონიკისა ან დედეაგაჩზე.

კოლჩაკის არმია ვიატკისაკენ მიიწევს.

ფრანგული პრესის ცნობები.

ორშაბათის ნაშუადღევს ოთხთა საბჭო შეიკრიბა ლოიდ ჯორჯთან. დილის სხდომა არ ყოფილა.

ვილსონს, რომელიც უკეთ გრძნობს თავს, ჯერ კიდევ არ შეუძლია განაახლოს მუშაობა, როგორც წინა სხდომაზე, მის მოადგილედ იყო პოლკოვნიკი ჰაუზი. ფრანგული გაზეთები ჯერ დაჟინებით [illegible] მუშაობის მიუხედავად ამისა, ოთხთა საბჭო განაგრძობდა თათბირს ზარალის ანაზღაურების საკითხზე თანხმობა, რომელიც წინა კვირაში დამყარდა სხდომის მონაწილეთა შორის, ახლა უფრო განმტკიცდა და [illegible] ხმები [illegible] და მათ ამხანაგებს შორის უთანხმოების შესახებ.

საერთო ჯამს შემდეგში გამოარკვევ[illegible] და შესაძლებელია, რომ გერმანიას [illegible] ლევე მოუხდება პირველი წლის 20—[illegible] მილიარდის გადახდა. შესაძლებელი[illegible] რომ გერმანიამ ეს ჯამი გადაიხადოს ნაღდი ფულის სახით ან სამუშაოში [illegible]. დანარჩენს გერმანია თანდათან [illegible] გადაიხდის.

ვარშავიდან დაბრუნდა მოკავშირეთა შორისი კომისია და შეუდგა მუშაობას, პირველი სხდომა გუშინ შედგა, მეორე დღეს, [illegible] შესახებ მოხსენების მოსასმენად.

ბაზელიდან იუწყებიან, რომ [illegible] საფლეთ უკრაინაში კოველის ახლოს საბჭოთა ჯარი 85 ზარბაზნებით უკრაინელებს დაესხა. [illegible] რაზმები, ასასი კაცისაგან შემდგარი.

პარიზიდან იუწყებიან, მოსალოდნელია, რომ წინასწარი ზავის პირობებ[illegible] გერმანიის გარდა უნდა მიიღოს აგრეთ[illegible] ავსტრიამ, უნგრეთმა, ბულგარეთმ[illegible] და ოსმალეთმა. ხელშეკრულების ტექსტების შემდეგ დაუყოვნებლივ მოიწვევენ [illegible], რომლითაც [illegible] სამხედრო მოქმედების შეწყვეტ[illegible]. მეორე დღესვე შესაძლებელი იქნება შეთანხმებების სახელმწიფოთა [illegible] მტრებთან [illegible] კონფერენციის თათბირი მონაწილე[illegible] დელეგატებთან 8 კვირაზე ადრ[illegible] არ დაიწყება.

დიდ სახელმწიფოთა დელეგაციებ[illegible] ლიდერები გუშინ ვერსალში წავიდ[illegible] სათათბიროთ. დღევანდელ დანიშნულ[illegible] ხალხთა ლიგის კომისიის საერთო სხდ[illegible] მხოლოდ ხვალისთვის გადაიდო, რადგა[illegible] ვილსონი ჯერ არ მორჩენილა და მა[illegible] საშუალება არა აქვს მონაწილეობა მი[illegible] ლოს კომიტეტში.

კვირას მოხდა სოციალისტ მუშების მანიფესტაცია.

ნულანსთან ერთად პარიზში ჩამოვ[illegible] და პოლონეთის საბჭოს პრეზიდენტ[illegible] პადერევსკი.

გერმანული ცნობები იუწყებიან, რომ მთავრობას არ შეუძლია შეასრულოს ის პირობები, რომელიც თვითონ წ[illegible] მოაყენა პოლონეთის ჯარის გადაყვან[illegible] შესახებ, რადგან გაფიცვა თან და თ[illegible] უფრო მოსალოდნელი ხდება რკინი[illegible] გზებზე.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ პო[illegible]ლონელებისათვის დანციგის გადაცემის გამო შემდეგ [illegible] მიტინგზე [illegible] ბერნშტეინმა თუმცა [illegible], მაგრამ ხალხ[illegible] მას არ დაეთანხმა. მან სთქვა, რომ წ[illegible] ნააღმდეგობა უაზრობაა და გაახსენ[illegible] რომ ელზას ლოთარინგიის [illegible] ხმლით [illegible] ამ ოლქების სა[illegible] ფრანგეთთან შეერთებას. დანციგი გერ[illegible] მანული ქალაქია პოლონეთის ტერი[illegible] ტორიაზე და საჭიროა ისე გადაწყ[illegible] ის საკითხი, რომ დაკმაყოფილებულ იქ[illegible] ნენ როგორც გერმანელები, ისე პოლო[illegible] ნელები. არავის არ ეპატიება [illegible] და მისმა სიტყვამ ნაციონალისტებში აღშფოთება გამოიწვია. მიტინგ[illegible] მეორე დღეს „მატენ“-ის კორე[illegible] სპონდენტ ინტერვიუ ქონდა ბერნ[illegible] შტეინთან, რომელმაც კორესპონდენტ[illegible] შემდეგი განუცხადა: „გერმანიის ხალხ[illegible] ყოველივეფერი უნდა იცოდეს და მე [illegible] ველ ხელშეკრულ შეთანხმებით [illegible] ლონ განმარტოვ მას ის, რაც თვითო[illegible] კანონ ერთი მიაჩნია. ხალხს უნდა შე[illegible] გნებით, რომ ის, რაც მას სამართლი[illegible] ანათ მიაჩნია, სხვას უსამართლობათ მი[illegible] აჩნია. ხალხს უნდა ვასწავლოთ სიწ[illegible] რით შეხედონ საგანს და უარი სთქვა[illegible] იმაზე, რის მოპოვებაც არ შეიძლება[illegible] შემდეგ მან გაკვრით აღნიშნა რეაქცი[illegible] ური და მილიტარისტული საფრთხ[illegible] და სთქვა, რომ მისი აზრით ამათთა[illegible] გამკლავება ადვილია: მისი აზრით ბ[illegible] შევიზმი გამოიწვია მრეწველობის შ[illegible] ფერხებამ. გერმანიის დემოკრატიას გა[illegible] დაარჩენს მხოლოდ სოციალისტური ბლო[illegible] კის შედგენა, რომელიც ზღუდეთ აღ[illegible] მ ტებს რეაქციას და ანარქიას.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. აპრილის 9. ნაუენი, აპრ. 7. დიუსელდორფში საყოველთაო გა[illegible] ფიცვა გამოცხადდა. რადგანაც მღელვა[illegible] რება იზრდება, მოსალოდნელი ხდება ბერლინში საერთო გაფიცვა, მთავრობ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა აცხადებს, რომ სახალხო წესები ძალაში რჩება. საჯარო კრებები და დემონსტრაციები აკრძალულია. ტრამვაის მუშებმა განაცხადეს, რომ გაფიცულ მაღაროს მუშებს მხარს უჭერენ და გაიფიცებიან. [illegible] სრული სიწყნარეა. ლიტვის ტარიბამ ლიტვის პრეზიდენტად ერთხმათ აირჩია ანტონ სმეტონა.

პარიზი. აპრ. 7. „ეკო დე პარი" იუწყება, რომ ამერიკელებმა დაარსეს საზოგადოება გერმანიასთან ხელახლა გასაცვლელად და უკვე შეკრეს გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულება. სამხრეთ ფრონტზე დონეცის რაიონში იუზოვის მიმართულებით დიდი ბრძოლის შემდეგ დავიჭირეთ სოფ. ბლაგოდატნოე. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ველიკოკნიაჟესკის აღმოსავლეთით 20 ვერ. სოფელზე დაიჭირა მდ. მანიჩის გადასავალი. აღმოსავლეთის ფრონტზე ორენბურგის რაიონში მდ. დიდი იკის ველზე უკან დახევას განაგრძობთ. ბუგურუსლანის მიმართულებით ჩვენი ჯარი ბელებეი-ბუგულმა-[illegible]-ის ხაზისაკენ უკან დახევას განაგრძობს. სარაპულის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ვოტკინის რაიონში წინსვლით ბრძოლაა. პერმის რაიონში ჩვენი ჯარი სდგას სად. კუზინს ხაზზე.

იაფი პური

იაფი პური მიეცემა მხოლოდ თფილისის ქარხნების, ფაბრიკების, სახელოსნოთა და საზოგადო დაწესებულებების (ქარხნის, ქალაქის, კოოპერატივების მუშა მოსამსახურეებს).

რომ სისწრაფით და დაუბრკოლებლად მოხდეს პურის დარიგება, საწარმოთა პატარა დაწესებულებები შეერთდენ და ერთად გამოიწერონ პური.

პურის მისაღებად საჭიროა წარმოადგინონ მუშა-მოსამსახურეთა სიისა, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რამდენ სულს [illegible] (ოჯახის თვითეულში) სიები შემოწმებული უნდა იქნას პროფესიონალური კავშირის გამგეობის და დაწესებულებათა პასუხის მგებელ პირთა მიერ, როგორიც არიან, ზედამხედველები, გამგეები, უფროსები და სხ. ყალბი ცნობების შესახებ პასუხს აგებენ ის პირნი, რომელნიც სიას ამოწმებენ.

ყველა იმ დაწესებულებებმა, საზოგადოებებმა, რომლებმაც სიები წარმოადგინეს უბარათოთ, ვალდებულნი არიან 14 აპრილამდე წარმოადგინონ ბარათებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში პური არ მიეცემათ.

ვინც პურს ღებულობს, უნდა ქონდეს დაწესებულებებისაგან სათანადო მოწმობა.

პური ღირს ფუთი 84 მ. დაწესებულებებში უნდა იყიდებოდეს არა უძვირეს 2 მ. 20 კ.

ქალაქის სასურსათო განყოფილება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ნახ. ს, შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **ქართულ მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა** გაიხსნება აპრილის დამლევისათვის „დიდების ტაძარში". გამოფენას მართავს ქართველ მხატვართა საზოგადოება, რომელმაც ამ ორი წლის წინათ იმავე დიდების ტაძარში ძველი ხელოვნების გამოფენა მოაწყო. გამოფენაში მონაწილეობისთვის მოწვეულია ყველა ქართველი მხატვარი. ეს პირველად იმართება ქართველ მხატვართა გამოფენა და როგორც ასეთი, თვალსაჩინო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხელოვნების ცხოვრებაში.

◆ **პროფესიონალური საბჭოების საქალაქო ცენტრი** აცხადებს [illegible] დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ ისინი უნდა გამოცხადდნენ პროფესიონალური საბჭოების ბინაზე, რომელიც იმყოფება ელისაბედის ქუჩაზე (ყოფილი „ზემსტვოს" ბინა) № 4. იქ ღებულობენ მანდატებს და მოწმობებს ბინების [illegible].

◆ **განათლების მინისტრის ამხანაგათ** დაინიშნა ნოე ცინცაძე.

◆ **უკრაინის დიპლომატიური მისიის** თავმჯდომარეთ საქართველოში დაინიშნა ი. კრასნოვი.

◆ **[illegible] ლეკავას დაჭრა.** 9 აპრილს, საღამოს 11 საათზე გრიბოედოვის ქუჩაზე, მიმავალი ლ. ლეკავა გააჩერა სამმა შეიარაღებულმა მოძარცველმა და მოსთხოვეს ფული. ლეკავამ ფულის მიცემაზე უარი განუცხადა, რის შემდეგ ის სასიკვდილოთ დაჭრეს ხანჯლით.

◆ **თფილისის მილიციის უფროსმა** ა. ურუშაძემ სამსახურს თავი დაანება.

◆ **ქალაქის სასკოლო კომისიამ** შეიმუშავა კომპეტენცია და ინსტრუქციის წესები; სკოლათა ინსპექტორად მოწვეულ იქნა მეღ. რაზიშვილი.

— ქალაქის თვითმართველობის არაქართულ სკოლებში გადაცემული უკვე შეუდგნენ მუშაობას.

◆ **რაჭველ ლეჩხუმელთა კრება.** კვირას, აპრილის 13-ს მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში, დღის 10 საათზე დანიშნულია კრება რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგ. წევრთა და თანაგრძნობთა.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** 7 აპრილს ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საბჭოს წარმომადგენელთა თანდასწრებით შესდგა კრება, რომელმაც განიხილა სამაგისტრალო და საზღვრო სამგზავრო მატარებელთა საზღვრებთან მოგზაურების საკითხი. კრებამ დაადგინა: გადიდებულ იქნას ნატარებ საზღვრო სადგურის საბაჟოების მოხელეთა რიცხვი და მიჩნეულ იქნას შესაფერი ბინები. აღნიშნულ ადგილებში დაარსდეს საბაჟო არტელი, ბარგის შესაქონად, თფილისში მოეწყოს პუნქტი საბაჟო ოპერაციებისათვის. საზღვრის საბაჟო ნაწილებში იმინჯებოდეს მხოლოდ ის ბარგი, რომელიც აღნიშნულ ნაწილებში გაიხსნება. დანარჩენი ბარგი უნდა იგზავნებოდეს თფილის-ფოთის საბაჟოებში. კრებამ საჭიროდ სცნო, რომ საზღვარის საბაჟო სათავეში [illegible] ფინანსთა სამინისტროს.

◆ **ქ. შ. წ. კ. საზოგადოებამ** 1000 მანეთი გადასდო [illegible] გახსნილ ნ. ჟორდანიას სახელობის სამკითხველოს სასარგებლოდ.

◆ **[illegible]** ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ იმ წარმოდგენებთან, რომელიც ამ ჟამად სახელმწიფო თეატრში ქართულ ენაზე იმართება და რომელიც აფიშებში უფრო მეტათ არის გამოცხადებული, ჩვენს კავშირსა და ჩვენს დასს საერთო არა აქვს რა. საბჭო.

◆ **კონკურსი.** ქართული სამუსიკო საზოგადოება აცხადებს, რომ 26 მაისს სრულდება წლის თავი საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამ დღისათვის იწერება განსაკუთრებული კანტატა. ვინც ორიგინალურ სამუსიკო ლექსს წარმოადგენს მას ჯილდოთ მიეცემა 500 მან. ვინც უკეთ დაწერილ ლექსს შეარჩევს მას 100 მან.

ყველა განსაზღვრულის ერთი კვირით მიიღება: ქ. თფილისი, სოლოლაკის ქუჩა № 4. ქართ. სამუსიკო საზოგადოება.

◆ **აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა** კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 13 აპრილს 12 ს. დანიშნულია კავშირის წევრთა საერთო კრება [illegible].

◆ **ვიპოვე** გ. ნაცვლიშვილის საბუთები (პორტფელი) 29 მანეთამდე ფულით და დოკუმენტებით. პატრონს შეუძლია მიაკითხოს ცოცხალიშვილის ქ. № 8. გერთაძის ბინა.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 7 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის პირველ განყოფილებაში (ნაძალადევი) დანიშნულია მოკლე ლექციები: 1) ქ. ქიქოძისა „ისტორია", 2) ალ. ქუთელიასა „ფსიქოლოგია".

— დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მეოთხე განყოფილებაში (ართ. მის. მუშათა კლუბში) დანიშნულია მოკლე ლექციები: 1) ქ. ტყეშელაშვილისა „ჰიგიენაზე", 2) ი. იამანიძისა „ეკონომიურ საკითხებზე", 3) გ. ნათაძისა „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის [illegible] ისტორია".

◆ **თავდასხმა.** 9 აპრილს, ღამის 11 საათზე, მოსკოვის ქუჩაზე მიმავალ ა. შელიაშვილს 3 შეიარაღებულმა მოძარცველმა წაართვა 700 მანეთი ფული, ოქროს საათი და სხვადასხვა ნივთები.

— ოზურგეთის სოც. დემ. სამაზრო კომიტეტისაგან ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ორი ათასი მან. საწევრო და სამი ათასი მ. საარჩევნო ფონდის.

კრებები

დღეს სად. 5 ნახ. ს. ცენტრ. სახალხო უნივერსიტეტში წაკითხულ იქნება სანიმუშო ლექცია ლექტორის ვ. ნიღლერისა: „შეგნებული გიოტეს ფაუსტში და მისი პრობლემები". შესვლა თავისუფალი.

— კვირას, 13 აპრილს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალური ფოსტის დარბაზში მოწვეულია ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა მიტინგი.

პროვინციის ქრონიკა.

ქ. ხაშური. 12 აპრილს საღამოს 4 საათზე დანიშნულია ადგილობრივ თეატრში, [illegible] საზოგადოების „ჩვენი ოჯახის" წლიური კრება.

ანდრიკოა ჟორდანიას დასაფლავება

კვირა დილით ლანჩხუთის სადგურზე მოასვენეს უბედურად დაღუპული ანდრიკოს ცხედარი. ცხედარს გარდა მშობლების ბევრი პატივისმცემლები და მეგობრები ახლდა.

გზა და გზა თფილისიდან ლანჩხუთამდე სამგლოვიარო მატარებელს ყველა სადგურებზე ხვდებოდა ხალხი გვირგვინებით და დამწუხრებული მშობლების გულის იზიარებდა. სამტრედიიდან დეპოს მუშების სამგლოვიარო მუსიკა ლანჩხუთამდე არე მარეს გლოვის მანდილს აფენდა.

ლანჩხუთში თავი მოიყარა თითქმის მთელი რაიონიდან ხალხმა. ლანჩხუთის სადგურთან ჩამწკრივებულნი იდგნენ ყვავილებით ხელში ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეები, იქვე იდგნენ სხვა სასწავლებლების მოწაფეები. სადგურიდან ნოეს სახლამდე მთელი ქუჩა ყვავილებით იყო მოფენილი.

ცხედარი ვაგონიდან გამოასვენეს გიმნაზიის მოწაფეებმა და სახლში მიასვენეს. [illegible] სამგლოვიარო მუსიკის ხმები. ცხედარი სახლში მიასვენეს და დამწუხრებული ხალხი კიდევ დიდხანს არ იშლებოდა.

სამშაბათს, დასაფლავების დღეს, კიდევ მეტი ხალხი მოაწყდა. იყვნენ წარმომადგენელნი ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, როგორც გურიიდან, ისე ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კუთხეებიდან.

ორ საათზე დაიწყო დასაფლავების პროცესია. დაასაფლავეს ეზოში, დიდი კაკლის ხის ქვეშ. სწორედ იმ ადგილას, სადაც მას საქანელა ქონდა გაკეთებული და ვინ იცის, რამდენი სიამე არ განუცდია გულუბრყვილო ცელქობაში.

სამარეთ ამწვანებულ ეზოს სილამაზე მიიბარა მისი ცელქი ანდრიკოა და სამუდამოდ გულში ჩაიკრა.

დე, იყოს მსუბუქი შენთვის, ჩემო პაწია მეგობარო ანდრიკოა, ეს გაზაფხულის სამარე...

განა.

გასვენებულის კუბო შეამკობილ იქნა გვირგვინებით შემდეგ დაწესებულებათა და პირთაგან:

1) მუშათა კლასის უდიდეს მოძღვრის უძვირფასეს დაკარგულ საყვარელ შვილს ანდრია ნოესძეს ჟორდანიას.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სასახლის დაბალ მოსამსახურეთაგან.

2) ანდრიკა ჟორდანიას.

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმისაგან.

3) ამხანაგ ანდრიკა ჟორდანიას.

სამტრედიის ახალგაზრდა მარქსისტებისაგან.

4) ძვირფას ანდრიკას.

მთავრობის საქმეთა მმართველობისაგან.

5) დაუვიწყარ ანდრიუშას.

ზ. ედიშერაშვილი და არ. აპ. დვალისაგან.

